

მეცხრე

საოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

14 ივლისს

გამოცემა

№ 1

კვირაობით

1885 წელს

ფასა „თეატრ“-სა

წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილათ შემოკანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისთანვე სამი (3) მანეთი, მაისში ერთი (1) მანეთი და მარიაშობის თვეშიაც ერთი (1) მანეთი.

ცალკე ნომერი „თეატრ“-სა ღირს სამი (3) შაურბი. ფასი განცხადებისა: მეორე გვერდზედ სტრაქონზე 5 კაპ. პირველზე 10 კაპ. მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

ხელის მოწერა მაილეზა:

თბილისში გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრ“-ს რედაქციაში. ქუთაისში ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში ს. შვალაბლიძის წიგნის მაღაზიაში. ი. როსტომაშვილთან. გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: Тифлисть, Книжный магазинъ Григорія Чарквиани. კორესპონდენციეი და საზოგადოთ ნაწერები პირდაპირ „თეატრის“-ს რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ავტორს ვერ დაუბრუნებს.

„თეატრ“-ს გამოცემა დაიწყო სექტემბრიდან. პირვ. ნომერი ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღ. იქვე მიიღება ხელ. მოწ.

რუსთაველის სურათზე.



ულ-მნათო, მადლი შენს განჩენს!
დიდება ერსა შენს მშობელს!
და ძეგლად სამარადისოდ
ნეტარ.ხსენება ამ სოფელს!..

* *

შენ ნიშნად უკვდავებისა
ერს მოვლენიხარ განგებით,
ვით ცისარტყელა წარლენისა —
უცნაურისა ჰანგებით.

* *

მაშინ, ვით ჩვენსა მნათობელს,
სახელი აღგმატება
და შენი სახე ივერთა
გულს ძეგლად დაეხატება!..

სულ-მნათო! ჩვენცა გვასწავე
ვგ საიღუმლო ვლერისა,
რომ ავეისრულდეს წადილი
მგონანი ვიქმნე ერისა;

* *

რომ ჩემის მღერით აგზნოლი
ჩაყიფი ტარიელობდეს:
ქაჯთა ებრძოდეს ლომ-კაცი!..
ნესტანისათვის ხელობდეს!..

* *

აკაკი.





1909

ქადაგნიუბა მოყრისა,
აიღეს გუზამს ზიანსა.

გოთა მკვირ



თბილისი, ივლისის 7-ს.

უკვალა ჩვენი გამოსვლა სალიტერატურო ასპარეზსედა, მერე ამ დროს, რომელიც ხელი მოკიდეთ, ბევრს დიმილს მოჭკვრის. ჰუმ, თეატრი, სალიტერატურო და სამხატვრო გასეთი! ჯერ ნამდვილს თეატრს რა მნიშვნელობა აქვს ჩვენში, რომ ახლა ამ წოდების გასეთი რა უნდა იყოს?...

ნუ ასჩქარდებით, ბატონებო. ჯერ მანც და მანც სიცილი ადრე იქნება, Rira bien, qui rira le dernier, ფრანციცული ანდასა გასლაპო, რომელიც ნიშნავს: სიცილი იმას უხდება, რომელიც უველასე ბოლოს იცინისო.

ქართული ურემივით ტლანქმა, უმნო, ულახათო და მასავით დოდინა „ივერიის“ რედაქციამაც კი შეიგნო და რამდენჯერმე საქვეუროდ აღვიარა, რომ თეატრს სასოგადოდ ხალხთა განათლებამი, ე. ი. კონებით განვითარებაში, სწეობის გაფაქიხებაში და სს. მეტის მეტად საპატიო ალაგი უჭირავსო და, ნამეტნავად ჩვენში თეატრის მნიშვნელობა სკოლის და, ასე გასინჯეთ! — ბანკის მნიშვნელობასაც კი აღემტებო! Horreur!

მაშ რათ მიდის ჩვენი თეატრის საქმე ასე უმსგავსად? რათ მიდის ჩვენი თეატრი, ეს ერთად ერთი სახალხო ტრიბუნა, საიდანაც ჩვენ სწეობას უნდა ვსწავლობდეთ, ეს ერთად ერთი ტაძარი სადაც უნდა ღვიოდეს და გაძლიერდეს წმიდა ლამპარი სამშობლო ენისა, რისთვის მიდის, ვიმეორებთ, ასე ცუდათ?

მისთვის, ბატონებო, რომ მისი აღზრდა მიუგდეს რამდენიმე ახალგაზდას, რომელთაც ამ ტაძარს ამსხვერპლეს ის, რაც საუკეთესო მოე-

პოება კაცს — თავიანთი ნიჭი და მეცადინეობა, და სხვა უველა საშუალებებს მოაკლეს. ჩვენმა, ესრედ წოდებულმა, მოწინავე დასმა სურვი შეაქცია თეატრს, რადგან მისგან ჰირად სარგებლობას არაფერს გამოელოდა. თუ ამათ მაღალი ფრანხების რანარუნს ეურს უგდებთ, ამათი ფარისეველური გულში ბარტყენი თქვენ ნამდვილად მიგანხიათ, ძრიელ მოტყუებულობანებულხართ. ეს ვაჟ-ბატონები მეტის მეტად, როგორც რუსულად ამბობენ, ცენტ на умъ და ისეთს ალაგას სელს არ ჩაჭკოფენ, საიდანაც გასალოკი არაფერი ამოჭეუებთ.

გიქებივით ამოუჩეებივით ბანკი (სრცხვენოდეთ მანცა) და „წერა-კითხვის გამავრცელებელი სასოგადოება“; თეატრი კი, რომლის ძედალ-მნიშვნელობას თითონვე აღვიარებენ, უკანონო შეილივით სადღაც კუნჭულში მიუგდიათ. რაც არის ბანკი ჩვენის ქვეყნისათვის, ეს დღეს უველამ შეიგნო, იმათ გარდა ვისი ჯიბისათვისაც ეს შეგნება სასარგებლო არ არის. ეს რაღაც წერა-კითხვის გამავრცელებელი სასოგადოებაა, ამისთვის სომ ქვეყანას ლამის ჰირსედ ტუავი გადაძრონ. მანცა და მანც რა არის ეს გასვიადებული სასოგადოება, რომ ჰირსედ ბადე ავსადოთ ზ დეკვირვებით შევსედოთ? ეს განლაპო კანტორა, ანუ აგენტუნა, რომელიც ქართულს ჰედგოციურს უნიჭო კომპილაციებს ავრცელებს. . .

მაშასადამე, უმთავრესი მისანი სალიტერატურო ასპარეზსედა ჩვენი გამოსვლისა იქნება თეატრის აღორძინებისა და მისი წარმატებისთვის მეცადინეობა.

მაგრამ ჩვენის ასპარეზის რაოდენობას ამ ვიწრო ფარგლით არ შემოეველება სასი. სიტუვა „თეატრს“ ჩვენ მომეტებულს მნიშვნელობას ვაძლევთ და თეატრად მიგვანხიან



მთელი ქვეყანა, რომლის სცენაზედაც ეველა ხვენგანს რაიმე ალაგი უჭირავს. ამ აქტიორებს ჯერ ნამდვილი რეცენსენტის კალამი არ შეჭსება, რომ ეველას შესაფერი როლი და ადგილი დაენიშნოს. ბევრი ნიჭი დახატულია და სტატისტის ალაგი უჭირავს, ნამდვილს უნიჭო სტატისტს კი წამოუსხამს ჰლაში და გამლეტის და ოტელოს როლებსა თამაშობს. Sapianti sat!

დასასრულ, უნდა მიუბაქციოთ მკითხველის ეურადღება ერთს გარემოებას. ჩვენ უარ-ვევით მივემართა იმ მახებისა და ქამანდები-სათვის, რომლებსაც ხელში იღებენ სასო-გადოდ ეველა სალიტერატურო ორგანოები ხელის მომწერლების მისაზიდავად. საუვირის ჩა-

ბერვა და ბუკის ცემა, როგორც გამონსკეიანს ხოლმე ჰირველად სცენაზედ ჩვენ ლიტერატურულ შარლატნობად მიგვაჩნია და ამიტომ არც არშინიანი აქიმები გავაკარით კედლებს, არც განხეთების ჰირველი გვერდები დავიქირავეთ რეკლამების დასაბეჭდად. გარდა ამისა, შემოსხენებულის მისნის მისაღწევად მალეუღია ჰირველი ნომერი საუკეთესო გამოსცენ და მერმე კი რაც მოჭხვდებათ. ჩვენის ახრით თან და თან წინ სვლა სვობია უკან-უკან ხევასა. ბალი რომ დაბლა ტოტებში მწარე იყოს და წვერში ტუბილ, ის ემჯი ბინებოდა. ამიტომაც ეს განხავთ ჰირველი ნომერი და არა-საჭაშნიყო, ანუ სანიმუშო, რომელშიაც საუკეთესო მასალას მოაქცევენ ხოლმე.

კ უ რ თ ხ ე ვ ა

(„ოუაცრ“).

თუ საპირადოთ დაბადებულხარ, კერძობისა მხოლოდ მქებელი, იეაჳ უსუსურ!.. იეაჳ ხან-მოკლე! და ამაჳ თაკით მარად დღე-ბნელი!..

მაგრამ თუ ჩვენთვის ერთგულ მუშაკად ხარ, ნორჩო, წრფელად მოვლინებული იეაჳ კურთხეულ! იეაჳ საუვარეულ! და ეველასაგან ერთხმად ქებული.

**

**

წრფელად იხარდე! შრომით იღვაწე, რომ მითი კაცად გამოყოლადდე და სწორ-მხედველი, ჩვენსა სიცუდეს დანიშნულებად კაცთა არ ჰხადდე.

აკაკი.

კლავილი და პრუდონი.

(ფრანციულიაჲ)

საფრანგეთის გამოჩენილი დრამატული მწერალი კლავილი, რომელიც გადაიცვალა 1879 წ., საყოველთაოდ აღვირბება, რომ მას არ აქვს არავითარი პოლიტიკური წმინტება. ერთსელ 1849 წ. როცა პარიუს დაჭებრა რეკრიაჲ, „ვოდევილის თეატრის“ დირექტორმა სთხოვა მას, რომ დაეწერა პიესა, არისტოფანული პიესების მსგავსი; პიესა უნდა ყოფილიყო წინააღმდეგ თებერვლის რევოლუციის იდეებისა. კლავილიჲ, კლავონრა დე-ვოლბელის (ჟულ ვორდიე) დახმარებით დასწერა შესატყვი სტირული Revue, რომელსაც შემდეგ დიდ ხანს თამაშობდნენ. ამ პიესას სათაურათ ჰქონდა ცნობილი ზრუდონის ზარდაქსია. ამ ახირებულ პიესაში მშვენიერი აქტრისა ქ. ოკტავია ასრულებდა ევას როლს მიწიერ სამოთხეში; ევას ეარშიუებოდა გველი ს:ტ ნა. აქტიორი, რომელიც ამ როლს თამაშობდა, უნდა გაეკეთებინა გამოჩენილი სოციალისტის ზრუდონის გრიმი.

უკვლავური კარგით ზიდიოდა, მაგრამ დამაბრკოლებელი ეს იყო რომ 1842 წ. (როგორც ეხლა) საფრანგეთში იყო დადებული კანონი, რომ ვისაც კი ჰქონდა წარმოედინა სტენაზე რომელიმე ცოცხალი პირი, ამ უკანასკნელს უეჭველად წერილით უნდა ნებადართოდა და მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა მისი გამოყვანა სტენაზე. და რადგან ზრუდონი უნდოდათ გამოეყვანათ პარიუელების წინ გველი ს:ტანის როლში, უეჭველად საჭირო იყო ნებადართვა თვით ზრუდონისგანვე.

ერთ მშვენიერ დღეს კლავილიჲ მოიკრიფა ძალ-ღონე და თავის განუშორებელ თანამოგზაურით, წვიმის ქოლგით, გასწია გამოჩენილ სოციალისტთან ნებადართვისათვის. რაღა თქმა უნდა, ერთმანეთის ხასვის დროს ბევრი თავაზიანი და მასთან მასკილიანი ლაზარაკი ექნებოდათ.

— თქვენ ვინა ბრძანდებით? ჰკითხა ზრუდონმა ჩვეულებრივის სასტიკობით, თუმიცა ზრუდონი გულისთ ძალიან კეთილი კარც იყო.

— მე?... მე დრამატული მწერალი ვარ.
— მუტ რა გინდათ?

— მე მსურს გთხოვოთ გამაწიოთ ერთი სამსახური.
— რაში მდგომარეობს?

— აი საქმე რა არის: მე შემავკეთოს ერთი პიესა აწმეოცნოვრებიდამ, სტირული ჩარსი. ამ უამად ყველას თქვენკენ მოუპურით თვალი და გონება; ყველანი თქვენსე ლაზარაკობენ და ამიტომ მე გამომეყვანათ თქვენ ჩემ პიესაში.

— რა როლში უნდა გამამსატო?
— ეშმაკის როლში.

— რას მიედ-მოედებით? როგორ, განა თვრამეტ სეუკუნის შემდეგ კიდევ მოიპოვებან იმისთანა პირნი, რომელთაც სწამთ ეშმაკი? ეშმაკის ჩვენება შეიძლება დაუსჯელად ერთ ერთ პარიუსის სტენაზე?! და ჩვენ კიდევ იმდენათ ვართ თვალბ ასვეულები, რომ გვწამს პრეგრესი!.. კარგი, ვსთქვათ თქვენის აზრით მე მივეკვარები თქვენგან გამოყვანილ ეშმაკს. მაგრამ ერთი ეს მითხარით, რა სისულელეს მალაზარაკობთ?..

— აი ინებეთ და თქვენ თითონვე განსჯეთ. ამ სიტუებით კლავილიჲ ამოიღო ჯიბიდან სელთ-ნაწერი პიესა და გადასცა წოდებულ ს:ტანას. წარღვნთა წინა გველის როლი, რომელიც მას ძალაუნებურად გადაჰკადეს ორმა ვოდევილების მწერლებმა, ცოტა არ იყოს შეაგულისხმან იგი. კითხვის დროს თანდათან უფრო მოსწონდა და ბოლოს ხარხარიც დაიწყო.

გათავა თუ არა კითხვა, მაშინათვე მისცა მან ნებადართვა. კლავილიჲ დაიწყო მადლობის გადასცა.

— ასლა ნება მიბოძეთ, სთქვა კლავილიჲ, ბილეთი მოგართვათ პირველ წარმოდგენისა.

— არ იქნება ურიგო, უზასუნა ქვემდრომმა: მაგრამ იცით რა, ლოყას ან კრესლოს ნუ მომცემთ. საჭირო არ არის მყოურებლებმა ორნაირად მნახონ, ერთი სტენაზე და მეორე ზალაში. სადმე მოშორებით დამსვით, ზევით ან ქვევით.

ის დასვეს ბენურში №9, სადაც ვერავინ ვერ დაინახავდა. ის იჯდა თავის რა ასლა მეგობრებ შუა, უყურებდა როგორ გაიარა იმ ორგინაღურმა პიესამ, დაწერილი მის წინააღმდეგ და თავის სიცილით და მოწონებით უფრო წარუმატა სელი პიესის წარმატებას.



სული სწუსს და სული შოთავს, დაკარგვია მას სადგური...
 რადც ძალი ამღელვარებს, სტანჯავს, სწეწავს უცნაური.
 გულიც სულსა ბანსა ამღევს დაკოდილი, დადაგული, —
 დაუკარგავს იმას შვება, ზეციური სიუვარული.
 სიუვარულო! სად წახვედი? რად მომიკალ მე გლახ-გული?
 მწეთ გამოჩნდი, სადაცა ხარ, მოვედ! გული მე ბედ-კრული
 კვლავ მოგული მოწიწებით, წმენას იწვევს კვლავ იმედი,
 კვლავ გრძნობები გააშმაკე, განაბრწეინე ჩემი ბედი.
 მომეც ძალი და შეძლება, რომ მოემართო ჩემებრ ჩანგი,
 შამოგვენესო სანუგემოდ ძველებური, ტკბილი ჭანგი.
 ცრემლი ვღვარო, მოვისმინო, უცნაური სიმთა ჟღერა,
 მას დავსტირო გულ ამოსვენით, დავამღერო ბედის წერა.
 გულს ჩამდგარს მხოლოდ ვნება, იდეალი არ იტაცებს, —
 იგი დარდით მოცულია, თრთის, ვინდება და ცახცახებს.
 ვეღარ იკრებს ჯან-ღონესა ვნებებისა ნატამალი:
 არ ხხარებს მას წარსული, არ ახარებს მომავალი.
 მე სიცოცხლე შსამსა მასმევს, იტანჯება გლახ სენებით,
 თვით ოცნებაც არ ტუუვდება დაკარგული იმედებით.

ნ. ალისუბსკლი.


წერილი აველს მეგობართან.

სილაში ძვირფასს მეგობარს. რასაკერძოთი საუკუნითა ბრუნვაში იმ ხანს, რაც მე და შენ ერთმანეთს დაეშორ დით, არაუფრო ალავი არ უქირავს, მაგრამ მაინც ჩვენმა დულუნა მტკვარმა ბერი ათასი კოკა წყალი ჩაატარა ქვეითენ და მეც ეს მოკლე ხანი, ჩუმს სულ მოკლეობისაგამო, მთელ საუკუნეთ მეჩვენა. ჩვენი დაშორება, მგონია ორივე მხარესთვის არ იყო სანატრელი და სასიამოვნო.

მეგობარც არის და მეგობარიც. უმრავლესობა ფუტურის მართვესავით გცხვევა და ცდილობს თვისი ერთგული მეგობრობა დაგიმტკიცოს, მანამ შენგან

რაიმე სარგებლობას გამოეღოს. ამისთანა მეგობრებზედა სოქვა ერთმა ევროპელმა გამოჩენილმა კაცმა: „ღმერთო, მეგობრებისაგან დამისსენ და მტრებს მე მოურიგდები!“

არის მეორე ჯურა მეგობრებისა, თუმცა ძირილი იშვიათია. ყოველთვის ამისთანა მეგობრის შეხვედრა ჩხუბით იწყობა და განშორება ჩხუბით თავდება. ამისთანა მეგობარი არაფერს არ გიმაღავს და ყველაფერს პირში გიძრახავს, — გიძრახავს მისთვის, რომ შენი ბედნიერება და სიკეთე უნდა. ამის მოქმედებას, რომ შორეულმა კაცმა შეჰხედოს, იფიქრებს: ეს



სწორეთ ამისი დაუძინებელი მტერი უნდა იყოსო. მაგრამ ღმერთმა მრავალი მოგცეს ამისთანა მეგობრები, ჩემო კეთილო!

თავის ქება, თავის ტახაო, იტყვიან და მე სწორეთ ამისთანა მეგობარი ვიყავი შენთვის. სწორეთ მაშინ, როდესაც ჩვენი ახალი გაცნობა მტკიცე მეგობრობად უნდა გარდაქცეულიყო, საძაგელმა გველმა, ამ დაშხამიღვან მეგობრობის, სიყვარულის და ძმობის დაუძინებელმა მტერმა გადაასხა ზედ თავისი შხამი და მოგვიწამლა კეთილი განწყობილება.

მართა მე რომ გავმხდარიყავი კაცთა უშულის, ბინძური ანგარიშებრს და წვიმიანი მოსაზრებრს სხვერპლი, ამაზედ ლაპარაკი არც კი ელირებოდა — და ნამეტნავად ჩემის მხრით ეს ჩივილი და სამღუწევი უადგილო და სამარცხენოც იქნებოდა.

ნამეტნავად ჩემთვის მეტი აუტანელი შეიქნა ამდენი ხნის განშორება. როდესაც საყვარელს მეგობარ ვაშორებენ მთები, ზღვები და რამდენიმე ათასი ვერსის მანძილი, მაშინ ძრიელ ადვილია შეფრიგდე შენს მდგომარეობას, მაგრამ წარმოდგენაც კი ძნელია იმ აუტანელი მდგომარეობისა, როდესაც ერთ ცის ქვეშე და ერთ მიწაზედ სცხოვრობ მასთან, ცინც გულოთ გიყვარს და მთელი თვეებით და წლებით ეუნძრახები.

* *

კმარა ამაზედ ლაპარაკი. ეხლა ჩვენებური ამბები მოიხსენეთ. თუ სრული სიჩუმე, წყნარი შექცევა და ნადიმი, მერე ტუბილი ძილი, ისევ ნადიმი, რომელზედაც „შენი ჭირიმე“ და „გენაცვალეს“ მეტი არაფერი ისმის, სანატრელს მდგომარეობას შეადგენს, უთუოდ რომ ქვეყნიერი სამოთხე დაარსებულა ეხლა ჩვენში. მაინც თურმე წინადაც აქ ყოფილა სამოთხე და ეს გარემოება სრულიად საკმაოდ მიაჩინათ ჩვენ ნაცარქექიებს, რომ ქუდი გვერდზედ მოიქციონ, დოინჯი შემოიყარონ და გამელელ-გამომლელს აგრძობინონ: ნახე ბიჭი მეფინა ვარ! არა ვგეყართ ტუტრუტებს. მუდმივი აყალ-მაყალი, ერთმანეთში განხეთქილება და აზრების შეჯახება, ტყის ნადირების ხელობა და არა კაცისა.

იმისთანა დარბაზისული და ქვეყნაზედ ბრძნად ცნობილი კაციც კი, როგორც სპენსერია, ისე მკაცრად ეწევა პოლემიკას თავისი აზრის დასაცველად, რომ ჩვენს გამოჩენილს პუბლიცისტს, (?) როგორც ზაქარია ჭიჭინაძე „განმარტებს“, ანტონ ფურცელაძეს, ანუ ჩვენი პეტაგოგის დალაი-ლამას იაკობ სვიმონის ძეს გოგება-

შვილს მოგაგონებს. პარიჟელი ჟურნალისტიც კი ისე მკაცრად ამბობენ, რომ ღმერთმა შეარცხენოს ამთან გიორგი საკაძის და „პატარა კახი“ ერეკლეს ხმალი. ერთის სიტყვით ამ ხალხს არც სირცხვილი აქეთ და არც ნამუსი.

ღმისწინაშე, ორიოდ შეფოთის და ამბოხის მოყვარე ჩვენც გამოგვეჩია, მაგრამ თავიდან მღე მოვიშორეთ და ჩვენთვის მკუდროთა ვცხოვრობთ. ეს ვაჭ-ბატონები კაი მოკიდავესებით მუდამ დამკლავებულები იდგნენ და გვეძახოდნენ: მოდი ქულის ძალა ესცადოთ და აზრები ერთმანეთს შეეჯახოთ. ახრებულთა შენმა მზემ! ამით ის ანდაზა კი არ გაუგონიათ: რაც არ ექნას მამაშენსაო და სხ. თუ ვერე უშუგა გექვაგება, აი გლდანელთან გადი, ან ერთი ნოდარა ბიჭი მყავს შინა ჩამოვიყვან და, ღმერთმანი, მგონია, რომ სამჯერ ზედი-ზედ ზურგი ვაკვირნოს. თუ არა და ტენით ბრძოლა, რომელია პატიოსანი კაცს საქციელია? იმას რა სჯობია, თქვენი ჭირიმე, ალავერდი! — იახშიოლ! — მიირთვი გენაცვალე! — გიხლე. ბი, ჭირი მოგქამე! დაისხი — დაგისხას, შეუთაღე — შეითაღოს. ჟურნალ-გაზეთები განა ჩვენ კი არ გვაქს, მაგრამ სულის შესაშფოთებელს და ტენის ასანძრებს კი არაფერსა ვებუქდავთ. იმათი გამოსვლა არც არავის აწყენინებს, არც არავის შეაშფოთებს.

იმისთანას არაფერს დაუსწერთ, რომ ვისიმე საწყენი იყოს: „ჩვენ გვეწვია ამ ღლევაში ჩვენი გამოჩენილი, ჩვენი დიდება და სიმდიდრე, დიდებული „დროების“ კორექტორის მესამე თანაშემწე. ჩვენმა „ინტელიგენციამ“ (?) წყლის პირზედ, მშვენიერი კაკლების ქვეშ სადღილი გაუშართა. კალმანი ჩეჩქივით ეყარა, მთელ ასოებდ ამოღებულს არტალას ომნივარი ასდი, ოდა და ყნოსვას ატკობდა, კახური ღვინო წისქვილის რუსავით მიდიოდა. სადილზედ მრავალი გრძობით საესე სიტყვა წარმოითქვა. დიდებულ სტუმარს გრძობა აუღელდა და ტირილი ველარ შეიკავა“ და სხ. აი ამისთანა სტატიები რამდენიც გინდა მოიტანეთ. ეშმაკს ეწყინება და ღმერთს იამება...

ჟურნალ-გაზეთების გარდა ჩვენ ბლომათა გვაქს სხვა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულება, და როგორც წესად მიღებულია, მათი გამგებელნი ვადითა გვყავს ამორჩეული. მაგრამ ამაზედ სათნოებით, ღმობიერებით და სიტკობებით სავსეს ვერას ჰნახავ ქვეყნაზედ, როგორც ჩვენი საზოგადო კრებებია. უყურებ ამოდენა თავ ჩაგინდრულს, უყურებ დაშვებულს ხალხთა ხრო-



ვას, გული სინარულით გიტოკავს, თვალები ცრემლით გვესება და განჩენელს მადლობას სწირავ, რომ ამდენი სიღარბისლე ჩეხზედ დაუბერტყია. სეკრეტარი წლიურ ანგარიშს წაიკითხავს, მაშინვე ყველანი ფეხზედ ადგები, დაბლა თავს დაუკრავთ და მადლობას ვუძღვნი.

მერე მიდგება რიგი გამგებელთა ამოჩევაზედ. მაშინაც ერთიანად წამოვეციეთ და ათასი დაღებული ხახა ერთ ხმად ამოიძახეს: „უკენქოდ!.. შერცხვენილი იყოს, ვინც არ დაიძახოს!“... და სხ. წამოდგება, ვისაც ეს შეეხება, თავს გვიკრავს, გვეხვეწება, და გვემუღარება გამანთავისუფლეთ ამ მძიმე მოვალეობილად, აღარ შემოძლიან სამსახურიო, მაგრამ ჩვენ ჩვენსას არ ვიშლით და ბოლოს ისიც თანხმობას გამოაცხადებს.

ძველი ნამსახურების ნამოქმედარის კრიტიკულად შეხედვა და ახალი კანდიტატების გამოყენა ჩვენში დიდი სირცხვილია. ძველს მხოლოდ მაშინ გამოვეცილთ, თუ იმაზედ უვარგასი ვინმე ეიზოვეთ. მაგალითებრ, შეიძლება დ... ჩამოვაბძანოთ და იმის ალაგას სხვა ვინმე შევასკუბოთ, მაგრამ იმიტომ კი არა რომ უკანასკნელი პირველს ტენის

ძალით და საქმის მუყაითობითა სჯობდეს, რამეთუ რომ უკანასკნელი „კი ბიჭია“ დ... რომ ლაპარაკობს, ასე გვეგონებათ ჩატყით თავში გვირახუნებსო; ამ უკანასკნელსაც ძალიან უყვარს ლაპარაკი, მაგრამ თავსთვის მკრცხალივითა ტიკტიკობს, თითონაც არ გაეგება რასა. ვაი იმის ტყავს, თუ ვინმე საზოგადო კრებაში ოპოზიცია გამოაცხადა! — სუ ზუგზედ მტერს ავაღვნი.

აი, ბატონო, თუ ორატორობა გნებავს, ბაღში სადილს ემართავთ და იქ მობრძანდი. სადილების გამართვა ძრიელ მოღაში შემოვიდა. პურადობა მაინც ქართველთ წესია. ზოგს მისთვის უმართამთ სადილს, რომ დიდხანა სცოცხლობო, ზოგს მისთვის, რომ ახლად დაიბადეო, ზოგსაც სამოქალაქო ასაკი შეუსრულდა და სხ. აბა იმ სადილებზე უნდა უყურო მოშლილი წისქვილების რახარუხს აი! სანადიმო ორატორობამ და მწერლობამ ძრიელ ფეხი აიდგა ჩვენში, ნეტავი ჩვენს ყოფასა!

ღვით სოსლანი.

გ ა მ ო ც ა ნ ა .



ამათ მზე მკავს, დედათ—მთვარე,
ვარსკვლავები — წვრილ-და-ძმათა;
„ცა ქუდათ არ მიმაჩნია
დედა-მიწა ქალამნათა.“

არც დიდი ვარ, არც პატარა;
არც ბატონი და არც მონა;
გულს მესობა: ხან ისარი,
ხან სუნელი ვარდის-კონა.

ქვეყნის შეილი, ქვეყნის მოძმე
ქვეყანაში ყარიბი ვარ;
მაშინ უფრო მდიდარი ვარ,
როცა უფრო ღარიბი ვარ!..


ვინც რომ მიყვარს, ის ხომ მიყვარს!
ისიც მიყვარს, ვინც რომ კი მძულს;
მწარე ენას ვამსახურებ,
გაწმენდილს და მარად ტყბილ-გულს.

მხედავთ ვინც ვარ? ვინ გგონივართ?
ერთი ვინმე გიყი-ცეტნ?...
უკაცრავათ!.. შემცდარი ხართ:
მე გახლავართ ეს პოეტი.


აკაკი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



პეტროს პეტროვი



ცნობები ქართულ თეატრზე.



ყოველმეტი სიუჟეტის ნასკაჲს, საქართველოს სამეფო გამკობამ გარდაწვევით უარა ჰყო ოსმალ-სპარსებთან ყოველნაირი მეტობრული კავშირის დაცვაჲდ. დრომ მოუტანა და ქართველებმა იგრძნეს რუსეთთან დახსლოვებას სჭაროება. ეს გრძნობა და მისგედრ ანც უნაყოფოდ დარჩა. ჟერედ ვანტანგ მეფის დროსა და მის შემდეგ მთელი რაზმი და რაზმი ქართველობისა მიდიოდა ხელმე რუსეთში, იქურს სხვა და სხვა სამსედრო და საერო სასწავლებელში სასწავლებლად.

ამ მოსწავლე ყმწვილ გაცობის გარდა მოსკოვსა და პეტერბურღში ერთბ დიდი რიცხვი სცნოვრებდა ქართველთ უმადლეს თავდას შეილებას, რომელთა მომეტეული ნაწილი სულ საქართველო-იმერეთის უბედურებასა მკობებით იყვნენ გარდასვეწილნი იქით.

საკმაო იქნება დავასხელათ რომ აღექსანდრე ჭავჭავაძეც კი პეტერბურღში დაბადა 1791 წ.

რუსეთში მეოფე ქართველები იქურს მავალთის მახედულობათ მეცადინეობდნენ საქართველოშიაც ისეთი რამ წესები შემოეტანათ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ახიური სამეფოს წეს-წყობილებას მოსწობა და მას მავალით განაოლებას დ მკვიდრება.

ამ ეპოქას რომ დავაკვირდეთ და გავინათ, უმწველი ბერს იმისთანა რასიქს შეხვდებით რაც საქართველოში სულპირველ შემოღებულ-შემოტანათ უნდა ჩათვალეს.

ამ დროებაში გათავგეს გეოგრაფიას და „ქართლის ცნობება“, ანტონ კათალიკოზსა თავის ვრცელი გრამატიკა და მრავალიც სხვა წიგნები. ამავე დროს აღორძინდა საეკლემო მწერლობა, ცალ მხრიდამ საქართველოში მეოფე ლათინთ პატრები მეცადინეობდნენ და მეორეს მხრიდამ რუსეთში ლიტერატურას გაცნობილნი ქართველნი.

გონებითა განვითარებამ იქამდის მიადწა, რომ მკვლად ნათარგმნი ჟანარზ ექიმის წიგნიც არ იკმარეს, გამოჩენილის შარე ზადეს „სამეურნალოც“ იქით გადასდეს და ამათ ნაცვლათ სხვებს მიჰყვის სელი. ამ ხანებში, მართლთ ბავრტიონთ გვარის შეილებმა გადმოსთარგმნეს ხუთი კარბდინი. ყველასე სიუჟეტადებო ბაქარს და დავითის თარგმანია. ამავე ხანში გადმოსთარგმნეს ვილორინის „საოჯახო ეკონომია“ თარგმნა სვიმონ მაკაცარიძის ეგუთინის, ვანტანგ მეფის გავდიდეს, ვერცელი


ტომის და შივ ბეჭი ქართული ტემანებიც არის. ამის გარდა სთარგმნეს ვიდევ ანსალიანს „კოსტოტიური განსკვა“ და ამაებს გარდა გადმოსთარგმნა მისიელ ელვიძემ გეომეტრია, ლაბორატორია, ტავტიკა, ანთიმეტიკა და მრავალიც სხვანი; საქმე იქამდის მივიდა, რომ თვით ერეკლე მეფესაც კი გადმოსთარგმნა ერთა წიგნი, პოლიტიკური წესის შესახებ, გერმანიელის ზონნეულდას. ეს „პოლიტიკური წესი“ სპარსეთში მეოფე ნემენცის დოკტორ რენკეს ნემენცურადამ სპარსულს ენასე გადათარგმნია და საქართველოში რენკეის ცნობრებას დროს ერეკლე მეფეს გადმოუთარგმნია სპარსულიდამ ქართულთ, თვით რენკეს დახმარებათ. ეს წესი დაუბეჭდათ ვიდევ 1780 წლებში.

ამ გვარ წიგნებს გარდა საფრანგეთის უმესანიშნავეს ვოლტერს ნაწერებსაც გაცნენ; ჟერეთ ორსამ კაცს სავითსავით ჰქონია და შემდეგ რამდენიმე მისი ლექსები სომ ჭავჭავაძეს უთარგმნია. ამას გარდა ფარნაოზ ბატონიშვილს გადმოუთარგმნია უნაუკ რესოს წერილება, ეს თარგმანი დღეს თფილისშია დაცული, ამას გარდა მილტონას „დავარული სიმოსე“-ც გადმოსთარგმნეს. თუ არა ვიცდებთ, მაშინდელი თარგმნას პირი უნდა იყოს ის, რომლის შესახებაც შარშან „დროებაში“ სწერდნენ, რომ „წერავითსივას საქართველოს შემოსწარესო. ამაებს გარდა ანც თეატრალური მწერლობა დასტოვეს უფურადღებოდ. რუსეთში მეოფე ქართველებს ხშირად უთარგმნიათ ხელმე რუსულიდამ ქართულს ენასდ პაესები.

მაშინდელ ნათარგმნ პაესებს 1830 წლებამდის მოუხსწევან. ს. დოდაევს, მაშინდელი ქართული გაზეთის რედაქტორს ჰქონია ნათარგმნი პაესები, მავრამ მისი გავსავის შემდეგ ყველასინი დავარგულა. ხვანამდის მოასწია დავით ავალიშვილის ნათარგმნის პაესებმა. ამავე დავითამ სთარგმნა ინგლისის მილორდი.

ამ პაესებსა გარდა მაშინდელი თეატრალური არსებობას დასამტკიცებელ საბუთად უფრო სხვა უნამდვილესი ცნობები ყოფილას დაჩხენილი; ეს ცნობები ყოფილას მაშინდელი თეატრის ბილეები. რამდენიმე ბილეთი აღექსანდრე ორბელიანს ჰქონია. ბილეთი დაბეჭდილი ყოფილას პატარ ლურჯ ქალღვრედ და ზედ ქართულთ ასე წერებულას: „შაური ორი, განდიელ მართი,“ ე. ი. ბილეთი ორი შაური.

ეს პატარ ბილეები აღ. ორბელიანის ხელში ნ. ბერძენოვსაც უნახავს. ამის შესახებ ბერძენოვიც სწერს დონდალ „კავკასის“ ნომრებში. ზედ მიწვენით აღარ მახსოვს



თუ რომელ წელიწადს. ამ ბილეტების მეხსობით ბერძენ-
ვან უეჭვოთ ამტკიცებს, რომ საქართველოში თეატრ-
ალური წარმოდგენები უნდა ყოფილიყო.

სემოხსენებულა კაბრიელი რუსეთში მეოფი სამხედრო
მოსამსახურე პირი ყოფილა, სარწმუნოებით სომეხი ჭ
გარტომობით ქართველი. ეს კაბრიელ აღრიდგანვე რუ-
სეთში გაუგზავნათ სასწავლებლათ, სამხედრო სასწა-
ვლებელში. სწავლის გათავების შემდეგ იქვე სამხედრო
სამსახურში შესულა და უმისხურია კარგა ხანს; სამსა-
ხურიდამ გამოსვლას შემდეგ საქართველოში დაბრუნე-
ბულა და, მეონა, სამუდამოთაც თბილისში დასახილდა
საცხოვრებლად. ცნობა არის, რომ კაბრიელ მაიორი
თფილისას მდიდარი ვაჭრის შვილთაგანი უნდა ყოფი-
ლიყოსო. ამ კაბრიელ მაიორს საქართველოში ყოფნას
დროს ქართული წარმოდგენები გაუმატოვას. ზოგნა
ფაქტობენ რომ წარმოდგენები ძველის აღთქმის სურათე-
ბას უნდა ყოფილიყოსო. ამ ჭაზრს ბერძენოვან ერწმუ-
ნება. ჩვენ მანაც სარწმუნოთ არა ვიცით რა, თუ რა
გარე პაესებს აღგენდენ სოლმე. კაბრიელ მაიორის
წარმოდგენის დრო ასე 1785 წლებში უნდა ყოფილი-
ყოს. შემდეგ დავით ავალოვს დაუწევია წარმოდგენები,
ასე 1793 წლებში. ამასე აღ. ორბელიანიც სწერს თავის
საწერებში, რომ თფილისში და თელავში ქართულ წარმო-
დგენებს მართავდნენო. ამასვე უთქვამს სოლმე: მე სმი-
რად შემატევიან დედაჩემისას, რომ კაბრიელ მაიორის
თამაშობასე სავმარისად დადიოდა სალხიო. თვით ეს
ქალიც დასწრებია წარმოდგენებსე. ასევე უამბობს სოლმე
მეფის ირავლის თანამედროვე და მასივე ისტორიის
აღმწერს ომინ მდივანბეკს. წარმოდგენები სარდლიანთ
სახლში იმართებოდა, კარეთუხანს, ახლანდელის ღონ-

დონს სასტუმროს გვერდით, რომელ სასტუმროს
ტრანსტირია მოთავსებული.

კაბრიელ მაიორს დასალოკებული კავშირი ჭქონია და-
ვით ბატონ-შვილთან. დავით ბატონიშვილსაც აწერენ
რადაც პაესების დაწერას. იძახას, რომ დავითს თავის
პაპის ცხოვრებდამ დაუწერია ერთი რადაც ისტორიული
ტრადიდა. ეს ტრადიდა 1840 წლამდის კასეთში ყოფილა
დაცული და როცა ოთარ ქობულაძის ბიბლიოტეკა დაუ-
წომთ ლეკებს, ესეც მაშინ დაკარგულა.

ამაებს გარდა წარსულა საუენის დამლაგებელ „ვეფხისტყა-
ისის“ შინაარსად დრამაც შეუდგენათ. გადაკოე-
ბას თუ შედგენას მეფეს ირავლის და გიორგი მეფის
მდივანს გოდერძი ფირავლოვს აწერენ. გოდერძი ფი-
რავლოვიც რუსეთში აღსრდილი იყო, მტოდნე რუსულს
ენას და შემდგენელი სსე და სსეა წიგნების. ამასვე
დასწერა მეფის ირავლის კარდაცვალების შემდეგ გლოკა
თუშ-ფშა-სეკსურთა „აღსდეგ გმართ გმარო, სუ გმა-
ნავს.“ ეს ლექსი ამსვე დაბეჭდა 1817 წ., მკრამ დღეს
ამის სასელი კი აღარ აქვს ამ ლექს მიწერილი. ამსვე
გოდერძი ფირავლოვს თავის დრამით გადაკოებულა „ვეფ-
ხისტყაისისა“ რუსულთაც გადაუთარგმნა, როცა ის
რუსეთში იმყოფებოდა. საქართველოს რუსეთთან შეკრ-
თების შემდეგ ამ ფირავლოვს უცხო ქვეყნათა საქმეების
კოლეჯიაში ქართული ენის მოარგანელათ დანაშნეს, სა-
დაც შეიძინა დიდი ორდენები. ჩვენამდის ვერც იმ პაე-
სამ მოახწია.

შემდეგ წერილში წარმოვადგენთ იმ პაესებს და ცნო-
ბებს რაც კი 1880 წლადამ 1850 წლამდის დაუწერათ,
ე. ი. სურაბ ანტონოვის და გიორგი ერასთავის
გამოჩენამდე.

8. 2

Помолись, мой друг, за меня!

ღღეს დილითა, ან შუაღამით
მუსლ-მოდრეკილი სატისა წინა
ლოცულობ სოლმე, შენ მეკობარო
ილოცე ჩემთვის ყოველთვისინა!

ის სიუვარული, ის ტებალი გრძნობა,
რაცა გამოჭნათს შენსა თულაებში,
დაე აღენთოს კვლავც შენს სახესედა
და ლოცვით მღევდეს უცხო მხარეში.





ქართველთა
წიგლიწიგლი

და სულის შენის მწარე ტირილი
ძალა სეცისკენ მსწრაფლ გაფრინდება,
და მაშინ სწორედ ჩემი სახელიც
ღუთის მოწყალებით იქ მიიღება.

ბეგრე ვაება გადაძნდა სოფლად,
სული სწუსს ჩემი; მივძაღოთ მე ვის?
შენ მეგობარო, შენ გეხვეწები:
ილოცე ჩემთვის, ილოცე ჩემთვის!...
ი. რევაზაძე.

შინაური ამბები

◆◆თელავიდან გვწერენ: გასულ თიბათვის 16, თბილისის ქართული თეატრის აქტიორის დ. აწყურელის თაოსნობით, სომხების გაუქმებულ სკოლის დარბაზში, გამართული ყოფილა ქართული წარმოდგენა, თელავის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. წარმოდგენათ სამი პიესა: ბაიუში, ორი მშვენი და ადვოკატი მეღაძე. წარმოდგენაში მონაწილეობა მიეღოთ თვით დ. აწყურელს და სცენის მოყვარეთ: ს. აწყურელს, ი. მეღვინეთ-ხუცესიშვილს, ს. მეღვინეთ-ხუცესიშვილს, ი. კორცოხელს და ქალ. სულხანოვისას და ზარაფოვისას. წარმოდგენაზე კარგა ბლომათ დასწრება ხალხი. ხარფი წარმოდგენის გამართვაზე დიდი ყოფილა და ამიტომ წმინდა შემოსავალი ძალიან ცოცხა დარჩაო.

◆◆ამ დღეებში ჩვენ წავიკითხეთ ერთ ახალგაზდა კაცისაგან დაწერილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა, სახელად შვილი რამე მელი? ამ პიესის ჰუმორი აღებულია ფრანციტულის მოთხრობიდან. პიესა ჩინებულიად და კარგის ენით არის დაწერილი.

◆◆კიდევ ორი ახალი პიესა მიემართა ქართულს რეპერტუარს. ერთი ვ. ე. გადმოუყვებია რუსულს პიესიდან (ВЪ ОСАДНОМЪ ПОЛОЖЕНІИ) და დაურქმევია «ტუგუ». მეორე ვ. ა. გადმოუყვებია ვ. სარდუს პიესიდან (Divoŕçons).

◆◆გაზეთს „კავკას“ ნამდვილად შეუტყვია, რომ თბილისის რუსული თეატრის ანტრეპრენიორს ბატ. ფითუაშვილს მომაგალს სეკრემბრიდამ ქ. ბაქოს თეატრის ანტრეპრენიორს ბატ. აუღია.

◆◆ზ. ჭიჭინაძისაგან გამოიცა ახალი პიესა გრ. იაკობიძისა ოთხ მოქმედებიანი კომედია აბდნაეაუბა უხედულობისაგანა. ამ სამი თვის წინათ გამოიცა ამავე გრ. იაკობიძის კომედია ეგგენი ეგგენის ღანღალა. ორივე პიესა სუფთად არის გამოცემული და არც ძვირათა ღირს. ფსი თითო წიგნისა ერთი აბაზია. ერთად ორი კომედია: „ეგგენი ეგგენის ღანღალა“ და „ბედნიერება უხედურობისაგან“. ღირს შეიღი შაური. შემდეგ ნომერში გაუცნობოთ მკითხველებს ამ პიესების შინაარსით.

◆◆„მწყემსი“ წავიკითხეთ: საწერეთლოში თ. დ. წერეთელს შავის ქვის თხრის დროს ერთ ადგილს უნახავს ხუთი კერპი, ჩამოსხმული ოქროს მზგავსის მეტალისაგან. ჩვენ ვნახეთო ეს კერპები და მართლაც გასაკვირველნი არიანო. ჯერ ვერ შეუტყვიათ, თუ რა დროს უნდა ეკუთვნოდეს ამათი გაყვებო.

◆◆1883 წელს თბილისის გუბერნიის კრებამ დაადგინა სთხოვის მთავრობას, რათა მან ნება დართოს დაუდგან თბილისში მეგლი განსვენებულს ჩვენ პოეტს გრიგოლ ორბელიანს. ესლა ეს თხოვნა მთავრობას შეუსწარება და ნება მიუცია მოგროვდეს კავკასიაში ფული ხსენებული საგნისათვის. („დროება“).

◆◆როგორც ისმის გ. წერეთელს განუზრახავს მომავალ წელიწადს გამოსცეს ქართული სურათებიანი ჟურნალი.

† ნ. მ. შიშნიაშვილი (თომაშვილი).

ივნისის 29, ერთი წლის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა (სიჭლექით) ქართული თეატრის არტისტი ნიკოლოზ მაკარის ძე შიშნიაშვილი, შობით 30 წლის. განსვენებული მთელი ერთი წლის განმავლობაში თბილისის ქალაქის სამკურნალოში იწვა საწამლებლათ, მაგრამ ექიმების მეცადინეობამ მანც ვერა უშველეს რა და უღმობელმა ბედმა საუკუნოდ მოაშორა ეს ჰატოსნებით სავსე კაცი თავის სწორ-ამხანაგებს.

ნ. შიშნიაშვილმა თბილისის სასულიერო სემინარიაში გაათავა სწავლა. ჯერ კიდევ მოსწავლე იყო, როცა იგი მსურვალე მონაწილეობას იღებდა ქართულ წარმოდგენებში (1873—1878 წ.). როცა მუდმივი ქართული თეატრი დაარსდა, 1879 წ., ის ჩაეწერა ქართული არტისტების რიცხვში და მას აქეთ არ მოშორებია ქართულ სცენას. როგორც არტისტი ის მეტად კეთილსინდისიანათ ასრულებდა თავის როლებს, როგორც კაცი ჰატოსნებით სავსე და ყველასაცან საყვარელი იყო. ნ. შიშნიაშვილი თამაშობდა თომაშვილის გვარით.

21 ივნისს თბილისის სიონის საკათედრო სობორში გადუსადეს მას წირვა და ჰანაშვიდი, შემდეგ მიასვენეს ავლაბარში საიდამაც უნდა წაესვენებინათ დასასაფლავებლად თავის სოფელში, სიღნაღის მხარეში. როგორც განსვენებასე აგრეთვე საუდარშიაც მის ამხანაგებთაცანი თითქმის არავინ დასწრებია. ეს გარემოება მიეწერება მხოლოდ იმას, რომ საფსულის გამო ყველა ჩვენი აქტიორები გაფანტულები არიან სსვა-და-სსვა ადგილებში.

ქართული თეატრის არტისტები გულითადი მწუხარებას განუცხადებენ ნ. შიშნიაშვილის მშობლებს და ნათესავებს.



შოთა რუსთაველი.

1172-1216

(სურათზე).

ქართული მწერლობის მხატვრულ-განსაკუთრებული და მე-
ლექსიკონის მამათ-მთავარი შოთა რუსთაველი დაიბადა
ახალციხის დაბა რუსთაველაში. დაბადების დროს ზედ მი-
წევნიით 1172 წელს აწერენ. ეს რიცხვი მიღებულია აქვსთ
როგორც ძველს მწერლებს და იმათ შორის განსაკუთრებულ
მეფეს, ზგროთვე ახალ დროის მეთაურთაგან ბრძანს,
ბაქრაძეს, იოსელიანს, ჩუბინოვს და სხვებს.

შოთა აღიზარდა საქართველოში, წერა-კითხვა შე-
უსწავლია ტბეთის მონასტერში და შემდეგ კასეთში
განმარტყუნით, გრემის სასწავლებელში. აქ დაწინადა
რამდენიმე ხანს და ბოლოს ათინაში წასულა. ათინაში
დიდი ხანი დაწინადა და შემდეგ სწავლით სავსე და-

ბრუნებულა საქართველოში. საქართველოში ყოფნის
დროს იგი სამეფო სამსახურში შესულა და რამდენიმე
ხანს თამარ მეფის მეჭურჭლეთ-ურეცხასთან ყოფილა;
რამდენიმე ხანს შემდეგ რაღაც მასწავლებლის გამო ბერათ
შემდგარა და წასულა იერუსალიმის ქართველების ვაჟ-
რის მონასტერში, სადაც დამკვიდრებულა და ბოლოს
იქვე გარდაიცვალა კიდეც. გარდაცვალების რიცხვს 1216
წელს მასწერენ.

შოთა რუსთაველმა დაწერა ბრწყინვალე წიგნი
„ვეფხისტყაოსანი“, რომლითაც დიდა ენა ქართული.
ეს ძეგლია ქმნილება პირველად განსაკუთრებულ მეფემ დაბე-
ჭდა 1709 წ. ქ. თბილისში.

შ ი შ ტ რ ა ჰ ი უ ზ ო .

(სურათზე).

10 (22) მასს მთელს საფრანგეთს თავ ზარი
დაეცა ვიქტორ ჰიუგოს სიკვდილით. იგი როგორც ნამ-
დვილი სამშობლოს მოყვარე მეტის-მეტად ძვირფასი
ყო მთელის საფრანგეთისათვის და როგორც უდიდესი
პოეტი მას უჭირავს მადალი ადგილი მთელს განათლე-
ბულ ქვეყნის ლიტერატურაში.

გრადი ვიქტორ ჰიუგო დაიბადა 14 (26) თებერ-
ვალს 1802 წ. იგი სწავლობდა პოლიტექნიკურ სკო-
ლაში; ამ სკოლაში შესწავლისთანავე მან გამოიჩინა გას-
რცარი პოეტიურა ნიჭი.

პირველმა მისმა თხზულებებმა დაიმსახურა ფლო-
რანის აკადემიის საჩუქარი ქ. ტულუზში. ამის შემდეგ
გამოიცა პირველი ტომი «ოდებისა და პაუზებისა და
ამ შემთხვევამ დაამკობრა ვ. ჰიუგო გამოჩენილ პირებ-
თან, როგორც მაგალითად შატობრიანთან და სხვ.

ვიქტორ ჰიუგო, როგორც ხანს მის რომანები-
დამ: «ჰან ისლანდიელი» და «ბიუკ ვარკალი», იყო წარ-
მომადგენელი რომანტიზმისა. ეს მიმართულება უფრო
ცხადად განსაზღვრა მან ტრაგედიის «კრამკელა»-ის წი-
ნსაიტყვაობაში. 1828 წ. გამოიცა მისი ლექსთა კრება
«Les orientales», ჩქარა ამის შემდეგ გამოიცა მისივე
„უკანასკნელი დღე სასიკვდილოთ გამხადებულისა“, ამ
მთხრობაში ვიქტორ ჰიუგო თავის უკმაყოფილებას
აგსადებს სიკვდილით დასჯისა.

ღუა ფელანის საფრანგეთის ტასტრე ასკლის
შემდეგ გამოიცა რამდენიმე თხზულებანი ვ. ჰიუგოსი,
რომლითაც მისი დიდება უფრო დაამკვიდრა, იგი მადე-
ბულ იქმნა აკადემიაში (1841 წ.) და ბოლოს წარჩ. ნე-
ბული ადგილიც მადლო, 1845 წ. ის დანიშნეს შერთ.
ა ეს თხზულებანი: «მარიას ღეთის-მშობლის სობო-
რო», «მეფე დროს ატარებს», ლექსთა კრება: „Les
feuilles d'automne“, „Les chontes de crepuscu-
le“. „Les vaix interieures, «ლევრეტის ბორჯისა»
«მარია ტაუდრობი», «ახელო», «რეი-ბლასი» და სხვ.

1848 წ. პოლიტიკურ გარემოებების გამო ვ. ჰი-
უგო მთავარეს საფრანგეთს. სამსჯავროს გარეთ ის
წინაღუდგა ახალ იმპერიას და გამოიცა თავის თხზუ-
ლებს „Napoleon le Petit“, ეს თხზულება შესანიშნა-
ვია თავისი სელოკური ფორმებით და მსვილ-სიტყვა-
ობით. მას მოჰყვები: „Contemplation“, „La legen-
de des siecles“ და რომანი «საბრალისა» (Les mi-
serables). ცოტა უფრო გვიან გამოიცა „წიგლის მე-
შაგნა“ და «განი რომელიც იტინისა». ამ თხზულებებმა
მეტად ძლიერა შთაბეჭდილება მოახდინეს.

ნ. პოლეონ მესამას დამხობის შემდეგ ვიქტორ
ჰიუგო პარიზშივე დაბრუნდა, კიდეც ლიტერატურას მოჰ-
კიდა ხელი და მას აქეთ აღარ მოშორებდა ეს გენიოსი
თავის სუფარულ საფრანგეთს.

რედაქტორი ზ გამომცემელი ვ. აბაშიაძე.

საყოველ-კვირათ ლიტერატურული და მსატერობითი გაზეთი.

„თეატრი“

გამოიცმა 1885 წ. ენკენასთვიადამ ქ. თბილისში. გარდა შარ-და-შირი თვის დანიშნულებისა, კ. ი. ადგილობრივი თეატრების. (განსაკუთრებით ქართული) მდგომარეობის დაწვრილებით აღწერისა. „თეატრი“, თვალს ადევნებს კდეკ ჩვენ ლიტერატურასაც. დრო გამოშვებით „თეატრ“-ში მკითხველი ნახავს მოთხრობებს, ლექსებს და ბევრს სსკა-და-სსკა, ჩვენი მკითხველთათვის, საყურადღებო ამბებს. სასოგადოთ შრომებმა „თეატრისმა“ შემდეგია:

- ა. მოწინავე წერილები.
- ბ. ზეკუისა და წამოადგენების რეცენზიები.
- გ. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.
- დ. კორესპონდენციები და ყოველგვარი ცნობები გარეშე ქალაქებიდან.
- ე. გამომჩენილ ზიროთ ბიოგრაფიული წერილები მათის სურათებით.
- ვ. თეატრები: ქართული, რუსული, სომხური და სსკ.
- ზ. ფელტონი: თეატრის შესახებ, სცენები, დრამატული თხზულებანი, ლექსები, სამდენალი კუზლეტები, დრამანები, მოთხრობანი, ამბები, მოკლენები და სსკ.
- წ. ანეგდოტები, გამოცანები, რბუსები, შაინები და სსკ.
- თ. ყოველ-გვარი ცნობანი და განცხადებანი.

ჩვენ ლიტერატურაში გამომჩენილ მოღვაწეთ „თეატრს“-ს აღუთქვეს თავიანთი მონაწილეობა.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირარობით. ფასი „თეატრი“-სა: წლით როგორც ქალაქის აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის ღირს ხუთი (5) მანეთი, ნახევარის წლით—სამი (3) მანეთი. ცალკე ნომერი ღირს სამი შაური.

შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოტანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათნავე 3 მანეთი, მისში 1 მან. და მარია-შობის ოვეშიაც 1 მან. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში თეატრის-ს რედაქციაში და გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში. აშუთისში—მ. ჭალაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакция „Театръ“.

მსკენისთვემდინ, როგორც ქალაქის აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის ადრესი: Тифлисъ. Книжный Магазинъ Григорія Чархвіани. წერილებიც ამ ადრესითვე უნდა გამოიგზავნოს.

ყრმათა სავითსავი საყუველოთვეა სურათიუბიანი ყყუნალი

„ნობათი“

პედაგოგიური ნაწილის დამატებით — გოგობელთათვის და აღმზრდელთათვის.

ძიელი წლით ყურნალი „ნობათი“ ღარს ოთხი მ.ნეთი. სელის მოწერა მიიღება თბილისში „ნობათი“-ს რედაქციაში. სელის მომწერელს გაეკრება ყველა გამოსული წიგნება.

შეიძლება აგრეთვე 1884 წლის „ნობათი“ ს დაბარებაც, — ფასი ოთხი მანეთი; შშენიერის ინგლისურის უღით ოქროს ვანყეთ გაგსავნით ეჭხა მანეთი.

გ. ჩარკვიანის

ქართული წიგნის მღაწიაში ინ-
ვიღება შემდეგი წიგნები:

- ღიღი-გოგრაპიანი, ტრ. ფურც. — 1 — —
- სამი კომედიი, ა. ცაგარდისა. — „ — 60
- აპაზაქანი, ტრ. ა. ფურცელაძის. — „ — 40
- თამ. ბატონიუ. დრამ. კ. მეს. — „ — 30
- მეფ. ირაკლ. პირ. დრო, ტრ. ობ. „ — 30
- ქორქ. დანდენი, კომ. მოლიერ. — „ — 40
- ფერი-ფერს მაღლი ღმერთს, კომ. „ — 50
- ეზვანი ეზვანიჩ ზანზალ. კომ. — „ — 20
- ბედნიერება უპედურებ. კომ. — „ — 20
- ცოლი თუ გინდ. მს არის. ვოდ. — „ — 10
- მეზენიერი ელენე, ოპერეტ. — „ — 10
- კატა ავონა, კომედ. — „ — 15
- პარიკმახერი, ვოდვილი, — „ — 15
- მოდლი და ენდეთ ქალსა, კომედ. „ — 20
- კავიზონი, ფასი 2 მოქმედ. — „ — 25
- ცოლანი დავპარბეთ, კომ. 2 მოქ. „ — 10
- ჰამროსტატი, კომ. 4 მოქმედ. — „ — 40

სამგოგლო ხეპი, ნოტ. გად. 1 — —

ზოგი შემდეგ ნომერში.

ღარიგადა ან. ქათალ. ღრამატიქა.

სტამბა

გრიგოლ ჩარკვიანისა.

მიიღება უოველგვარი სსსტამბო
საქმეები.

დაიბეჭდა და მალე დაწიგდება მღაწიებში გა-
სასყიდათ

ქ ა რ თ უ ლ ი

ქრისტოგვასია

უმცროს კლასებისათვის. უედ. მისიელ ნსსიამისგან.
ფასი 70 კაპ.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასასყიდათ

შოთა რუსთაველისა ჯ

ვიქტორ ჭიყვიანს სურათი.